

ვიზუალური სოციოლოგია (პ. შტომპკას მიხედვით)

ანოტაცია

სოციოლოგია თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ცვლილებებს განიცდის. ერთის მხრივ ტრივიალურ ყოველდღიურ ცხოვრებას ამჟამად ბევრი სოციოლოგი შეისწავლის. მასობრივმა რაოდენობრივმა კვლევებმა ადგილი ინტერპრეტაციას, თვისებრივ კვლევებს დაუთმეს, რომელიც საზოგადოების ზედაპირზე არსებულს შეისწავლის და ამისათვის დაკვირვებას და ვიზუალურ სოციოლოგიას იყენებს. შტომპკა თვლის, რომ სოციალური ეგზისტენციის შესწავლა არის პარადიგმული წინსვლა სოციოლოგიაში, რასაც ის მესამე სოციოლოგიას უწოდებს, მეორე სოციოლოგიად მიჩნეულია - მოქმედება და ქცევა, ხოლო პირველი სოციოლოგია- ორგანიზაცია და სისტემა. სოციალურ ეგზისტენციაზე ფოკუსირება სოციოლოგიას სოციალური არსებობის შესასწავლად ხედვის ახალ კუთხეს აძლევს, რაც საზოგადოების პრობლემების გაგების კარგი საშუალებაა.

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები: * მიმართულება. * ვიზუალური სოციოლოგია. * სოციალური მოქმედება. *მესამე სოციოლოგია. * პარადიგმული წინსვლა.

სოციოლოგიის ყურადღების ცენტრი უკანასკნელ პერიოდში ძალიან შეიცვალა. ცნობილი მეცნიერები გატაცებით წერენ, სიყვარულზე, მეგობრობაზე, ინტიმურობაზე, ფასტ-ფუდზე, პოპ-მუსიკაზე, საყიდლებზე სიარულზე, რისკზე, უნდობლობაზე, მარტოობაზე, ჯანმრთელობაზე, ტაქსით მგზავრობაზე და ა.შ. გეორგ ზიმელი ჯერ კიდევ 100 წლის წინათ წერდა მსგავს თემებზე, მაგრამ ის მოღვაწეობდა მაშინ, როდესაც ვითარდებოდა „მეცნიერული“ სოციოლოგია და განსაკუთრებით მისი გერმანული სკოლა, მას არ მიეცა საშუალება გაეკეთებინა კარიერა, იმ პოზიციის გამო რომელსაც ის იცავდა, ახლა სხვა მდგომარეობაა, ზიმელი ისევ გაიხსენეს და ამჯერად თანამედროვე სოციოლოგიის სხვა წარმომადგენლებს შორის (ვებერი, დიურკემი, მარქსი) საპატიო ადგილი მიუჩინეს.

რაოდენობრივი მეთოდები რომლებიც სოციოლოგიაში მრავალი წლის მანძილზე დომინირებდა ადგილს დაკვირვებას, ქეის-სთადის, ჩაღრმავებულ ინტერვიუს, დოკუმენტების ინტერპრეტაციას, პირად წერილების, ცხოვრების ისტორიების, ფოტო და სხვა იკონოგრაფიული მასალების ანალიზს უთმობს.

თეორიული და მეთოდოლოგიური ტენდენციები რა თქმა უნდა ურთიერთკავშირში იმყოფებიან. თუ ვიტყვით რომ ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდები სოციოლოგიის შეისწავლის ობიექტია, მაშინ ჩვენ მოგვიწევს დავუბრუნდეთ დაკვირვების მეთოდს, რომელსაც მე-20 საუკუნის დასაწყისში სოციალური ანთროპოლოგები და ეთნოგრაფები ასე ფართოდ იყენებდნენ. როგორც ჩანს ყოველდღიურ ცხოვრებაზე დაკვირვება და მისი ფოტოგრაფირება და სხვა ვიზუალური საშუალებებით მათი ასახვა სავსებით შესაძლებელია.

მოდით გავიხსენოთ გერმანელი სოციოლოგი, რომელმაც თავისი კარიერის დიდი ნაწილი მასობრივი სოციოლოგიური კვლევების განვითარებას მიუძღვნა, მან ერთხელ აღიარა რომ „თუ მე ნამდვილად დამჭირდება იტალიური საზოგადოების შესწავლა, ანკეტებს კი არ დავარიგებდი, არამედ აქვე კუთხეში მდებარე იტალიურ კაფეში წავიდოდი, თუ გერმანული საზოგადოების შესწავლა დამჭირდებოდა მაშინ ლუდის ბარში, ხოლო თუ ინგლისურის მაშინ პაბში წავიდოდი და იქ უბრალოდ დავაკვირდებოდი“. სოციოლოგიური წარმოდგენის კულტივიზაციისათვის საუკეთესო რჩევაა.

მესამე სოციოლოგია. თანამედროვე ავტორები სოციალურ ორგანიზმს აბსტრაქტული მაკრო სოციალური პრობლემისაგან, სოციალური სისტემას, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციას, სოციალური სტრუქტურას, სოციალური პროცესებს არ გამოყოფენ. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვხვდებით კომუნიკაციას ადამიანთა შორის, სიყვარულს, კონკურენციას, თანამშრომლობას, ადამიანები არასოდეს არ არიან მარტო, მოქმედებენ სხვებთან ან სხვებისთვის, ასეთი ადამიანებისათვის ტიპური პრაქტიკების შესწავლით შეიძლება დაჭერილი იქნას კოლექტიური და პიროვნებათა შორისი ჯერ კიდევ შეუსწავლელი ცვლილებები და შიდა მექანიზმები. ასეთ ნაშრომთა უმეტესობა არის აღწერითი, ტიპოლოგიური და ანალიტიკური ხასიათისაა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ არის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ფოკუსირებული მასშტაბური გაგების თეორიების კონსტრუირების მცდელობები, მაგალითისათვის გამოდგება, ჯონათან ტერნერის პირისპირი ინტერაქციის თეორია და ჯეფრი ალექსანდერის რიტუალური ინტერაქციის ჯაჭვი.

ახალი მიმართულება რომელიც ყოველდღიური ცხოვრებას შეისწავლის იკონოგრაფიული მეთოდების გამოყენებით, ხომ არ წარმოადგენს კიდევ ერთ გარდამავალ მეცნიერულ გატაცებას სოციოლოგიისათვის თუ ეს არის ნამდვილი თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულება, თუ თანამედროვე პარადიგმული წინსვლაა? შტომპკას მოჰყვას არგუმენტები უკანასკნელის სასარგებლოდ და მისთვის ეს ნიშნავს მესამე სოციოლოგიის/სოციალური ეგზისტენციის დაბადებას.

პირველი სოციოლოგია არის ორგანიზმი/სისტემა რომელიც კლასიკოსმა სოციოლოგებმა კონტმა, სპენსერმა, მარქსმა, მოგვიანებით კი პარსონსმა შემოგვთავაზეს.

მეორე სოციოლოგია - სოციალური „ატომები“-მოქმედება, ქცევა და სუბ-ატომის აზრის, საზრისის, ტექსტის შესწავლა რასაც საფუძველი ჩაუყარა მაქს ვებერმა, ხოლო მოგვიანებით განავრცეს ჰერბერტ მიდმა, კლოდ-ლევე სტროსმა და სხვებმა.

მესამე სოციოლოგია- კვლევის ობიექტია სოციალური მოვლენები, როგორცა ადამიანის მოქმედება კოლექტიურ კონტექსტში, გარემოს და სხვა შეზღუდვათა გავლენა, სხვა აგენტები, მოქმედებისათვის არსებული კულტურული და სტრუქტურული გარემო, ამგვარად

რეინფიცირებული პირველი და მეორე სოციოლოგია გადადის სხვა მხარეს, რადგან მესამე სოციოლოგია განდევნის სოციალური ცხოვრების ორ მიკრო და მაკრო აბსტრაქციას. სოციალური ეგზისტენციის იდეა ფოკუსირებულია ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე რეალურ მოვლენებზე, სტრუქტურისა და მოქმედების დონეზე სადაც სტრუქტურისა და დინამიკის შეზღუდვები წარმოშობენ რეალურ მოქმედებებს. სოციალურ ინდივიდუალური პრაქტიკებზე დაკვირვება, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ანუ იმ ერთადერთი ცხოვრების რომელიც ადამიანებს აქვთ და რომელიც არაა ბოლომდე დეტერმინირებული და თავისუფალი, სხვა აგენტების გავლენა მოქმედ ინდივიდზე, ასევე სტრუქტურული კონტექსტი რომელშიც ისინი მოქმედებენ, სოციალურ მოვლენათა ასეთი გაგება იძლევა ახალ ინფორმაციას საზოგადოების შესახებ.

მესამე სოციოლოგია უგულებელყოფს ორ ილუზიას:

1. ის ადამიანის შესახებ არსებულ ეგოცენტრულ რწმენას, პიროვნულ ავტონომიურობაზე, აგენტთა განსაკუთრებულ თვისებების და დანარჩენი საზოგადოებისაგან დამოუკიდებლობის შესახებ რწმენებს უკუაგდებს.

2. ის შორდება პირველის საწინააღმდეგო და ფატალურ რწმენას იმის შესახებ, რომ ჩვენი ბედი ჩვენგან დამოუკიდებლად ზებუნებრივი და არაკონტროლირებადი ძალების მიერ არის ფორმულირებული. ადამიანის თავისუფლება იზღუდება კანონის, წესების, ნორმების და სტანდარტების მიერ, რომლებიც მათ არ შეუქმნიათ, ხოლო თუ ინდივიდიწინააღმდეგობის გაწევას ეცდება, მასინ ის დამცირებას, გაკიცხვას, უარყოფას, სოციალურ იზოლაციას და საზოგადოებისაგან განდევნას დაიმსახურებს.

მესამე სოციოლოგია უარყოფს ადამიანის შესახებ არსებულ ამ მოსაზრებას, რათა ადამიანის ცხოვრების უფრო რეალური სურათი შექმნას და ის გვთავაზობს სოციალურ ეგზისტენციის შესწავლას, რომელიც ადამიანის თავისუფლებას, სხვა ადამიანებთან ინტერაქციას, კომუნიკაციის ქსელს, შემთხვევითობას და საზოგადოებრივი ცხოვრებაში კრეატიული მონაწილეობის შესაძლებლობას, არჩევანის თავისუფლებას და სხვა ადამიანებს გულისხმობს რომლებიც მოქმედი აგენტის გავლენის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდნენ.

სოციალური ეგზისტენცია ყოველთვის დინამიურია, როგორც ცხოვრება, სოციალური არსებობაც არასოდეს დგას ერთ ადგილას, ის გაჩერდება მაშინ როცა ცხოვრება გაჩერდება. მისი დინამიურობა მხოლოდ მოქმედებასა და ფუნქციონირებაში კი არა, არამედ ნაყოფიერების გაზრდის, რაღაცის შეცვლისა და სოციალური პროცესების ტრანსფორმაციის მიმართულებით მოძრაობაში გამოიხატება. რამოდენიმე წლის წინათ შტომპკამ სოციალური ცხოვრების ინტერპრეტაციის კონცეპტუალური მოდელი განავითარა, მას ორ ფრონტზე უწევდა ბრძოლა ერთის მხრივ ის უარყოფდა მოდერნიზაციის და ევოლუციის იდეას, რომელიც მეორე სოციოლოგიისათვისაა დამახასიათებელი. მეორე მხრივ, ის უარყოფდა

სოციალურ მოქმედების შესახებ იდეას, რომელიც ფრაგმენტულობისა და შემთხვევითობისაგან სრულიად თავისუფალია, ამის ნაცვლად მას სოციალური ქმნადობის კონცეფცია (social becoming) შემოაქვს, რაც გულისხმობს იმას, რომ პროცესთა იმანენტური მოძრაობა აქტორს მასში ჩადებული ინდივიდუალური და სხვა რესურსების გამოყენების ან არ გამოყენების საშუალებას აძლევს.

სოციალური ეგზისტენცია ანუ ყოველდღიური ცხოვრება სოციალურ პრაქტიკებს მოჰყავთ მოქმედებაში. სოციალური ქმნადობა საზოგადოებაში არსებული სოციალურ აგენტებს ან იმ რესურსებს გულისხმობს რასაც ადამიანები ფლობენ, აგენტები მოქმედებენ შეზღუდვებისა და სტიმულების ჩარჩოებში, რაც წინა პრაქტიკის შედეგს წარმოადგენს. მესამე სოციოლოგიის ანალიზი სოციალური ეგზისტენციის და სოციალური ქმნადობის ტიპოლოგიზაციასა და თეორიულ ახსნაზეა მიმართული.

ვიზუალური სოციოლოგიის ჰორიზონტი. როგორც უკვე ავლინებთ ვიზუალური სოციოლოგიის მეთოდოლოგია კვლევის თვისებრივ მეთოდებს, დაკვირვებას და ფოტოგრაფირებას იყენებს. თანამედროვე საზოგადოებაში ბევრი რამის დანახვა შეიძლება თუ უბრალოდ დავაკვირდებით. ადამიანთა მიკრო-აზრებს, მოტივებს, სახელმწიფოს, ინსტიტუტებს და ა.შ. ვერ დავაკვირდებით, მაგრამ შეგვიძლია ჟესტებს, რომლებსაც აქვთ კულტურული შეფერილობა, სხეულის ენას, სახის მიმიკას, ასევე ყველა სხვა სახის ცივილიზებულ და ჩვენი გარშემო არსებულ ტექნიკურ დიზაინს, , ჟურნალ-გაზეთებში თუ ბილბორდებზე დატანებულ ფოტოსურათებს დავაკვირდეთ. ასევე არის ადამიანთა მიერ გაცნობიერებული მოქმედებები, საკუთარი თავის წარდგენა სხვებისთვის, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ გადასცეს ინფორმაცია ჩვენზე და ჩვენს სტატუსზე, რაშიც ვლინდება ქცევის სტილი, მოდა და ბრენდები, პროდუქტები რომლის ფლობაც შთაბეჭდილებას უქმნის სხვას(ვიდაცისთვის ეს შეიძლება იყოს როლექსის საათი, აგარაკი ან ძვირად ღირებული მანქანები და ა.შ. მსგავსი პროდუქტების ფლობა მისი მფლობელის მატერიალურ მდგომარეობაზე თავისთვად მეტყველებენ).

ფოტოგრაფიის განხილვით შემოვიფარგლოთ და განვიხილოთ ვიზუალურ სოციოლოგია, მას ორი მიმართულებით იყენებს, ესენია: სოციალური სიტუაციის ფოტოგრაფირება და უკვე გადაღებულის ანალიზი. ფოტო სურათს აქვს მრავალი შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა ის ზრდის ჩვენს მგრძობელობას სოციალური სიტუაციისადმი, როდესაც ჩვენს წინ დევს მრავალი სურათი, ჩვენ კი ვიწყებთ სურათების რანჟირებას მნიშვნელობების მიხედვით, მაშინ ვიწყებთ ყურადღებით დათვალირებას, აქ კი მნიშვნელოვანია ფოტოაპარატის სამი ტექნიკური მახასიათებელი: 1. ფოკუსის დაყენება-რაც ნიშნავს სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანის გამოყოფას. 2. ხილვადობის ჩარჩო- რაც ნიშნავს იმ სიტუაციის უგულებელყოფას რომელიც არა მნიშვნელოვანია. 3. სიღრმის განსაზღვრა- წინა პლანის ფონისაგან გამოყოფა.

სურათი „ყინავს“ რთულ და სწრაფად ცვალებად სოციალურ სიტუაციას და მისი გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. ამით კი იზრდება სოციოლოგიური აღწერისა და დიაგნოზირების ხარისხი, ახალი ტენდენციების აღმოჩენა და სოციალური ნორმების რეგულაციის ხელშეწყობა, ეს ეხება არა ერთ არამედ ფოტოთა მთელ სერიას.

ერთი და იმავე სოციალური სიტუაციის სხვადასხვა მომენტში ფოტოგრაფირებამ შეიძლება გვაპოვნინოს დროში ცვალებადი ტენდენციები, ხოლო ერთი და იმავე მოქმედების ფოტოგრაფირებამ სხვადასხვა კულტურათა შედარებით კვლევებში შეიძლება საერთო კროს-კულტურული მახასიათებლები დაგვანახოს.

თანამედროვე საზოგადოებაში ხელმისაწვდომია უამრავი და სხვადასხვა ტიპის იკონოგრაფიული წყაროები, მაგალითად ფოტოჟურნალისტიკა, მოყვარულთა ფოტოები, ოჯახურ დღესასწაულებზე გადაღებული ფოტოები, სამუზეუმო კოლექცია, რეკლამა, განცხადებები და ა.შ. ფოტოსურათის ინტერპრეტაციისა და ანალიზის დროს შეიძლება სტრუქტურის 4 დამალული ტიპი აღმოვაჩინოთ: 1. ინტერაქციის სტრუქტურა(ხასიათის მოდელებზე, „გეომეტრიაზე“, პიროვნებათა შორის კონტექსტზე, ჯგუფზე, ხალხზე და ა.შ. დაკვირვებით). 2. ნორმატიული სტრუქტურა (ქცევის სტანდარტულ და განმეორებად ფორმებზე დაკვირვება) 3. იდეალური სტრუქტურა (რწმენისა და იდეოლოგიის პლაკატებზე დაკვირვებით პოლიტიკური დემონსტრაციების, აჯანყებების ან შეჯიბრებების დროს.) 4. შემთხვევითი სტრუქტურები (სიღარიბის ან სიმდიდრის, ძალაუფლების, დიდების ან მარგინალობის, წარმატებულობის ან წარუმატებლობის მკაფიოდ გამოხატული ნიშნები.)

მესამე სოციოლოგიის სათავე. პარადიგმული მობრუნება სოციალურ მეცნიერებებში ორი ტიპის მდგომარეობაზე რეაქციას წარმოადგენს. პირველ შემთხვევაში, რეაქციას იმანენტური ბუნება აქვს და ინტელექტუალური ტენდენციებისადმი დამოკიდებულებით გამოირჩევა თითქოს რაღაცისაგან დაიღალა, უკვე წარმოებული იდეების განხილვა ძალიან მოსაწყენია და ფრუსტრაციას იწვევს. მეორე ფაქტორი, სოციალური ცხოვრების თვისობრივი ცვლილება, არსებული თეორია კი ახალი მდგომარეობის აღსაწერად არა ვალიდურია. მესამე სოციოლოგია მეოცე საუკუნის დასაწყისში იწყებს წარმოშობას, რასაც ხელი შეუწყო: პირველი ტენდენცია, სოციალური სისტემის აბსტრაქტულობის კრიტიკამ, რომელიც განასახიერებდა ტალკოტ პარსონსის სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, რომელიც მან განავრცო ორი მიმართულებით: სუბიექტივისტური მიმართულება და ინტენციები, მოტივაციების, ბედის შესწავლა, რომლები დგანან სოციალური მოქმედების უკან. აგენტების მიერ არჩეული გზა და მათ მიერ კონსტრუირებული, შექმნილი სოციალური სტრუქტურის: ინსტიტუტის, ორგანიზაციის და ა.შ. შესწავლა. კულტურული მიმართულება რომელიც ეძებს საზრისის, რწმენის, ღირებულების, ნორმების, წარმოდგენების, ჩვევების უხილავ ძაფებს, რომლებიც არეგულირებენ აგენტთა მოქმედებებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორი რომელიც ახალ მიმართულებას ავითარებს იყო გოფმანი და მისი დრამატურგიული თეორია,

გარფინკელი და მისი ეთნომეთოდოლოგია, შუტცი, ბერგერი, ლუკმანი და მათი ფენომენოლოგიური მიდგომა.

მეორე დიდი ტენდენცია იყო არსებული სოციალური თეორიების პოსტმოდერნული კრიტიკა, პოსტმოდერნიზმი ანუ როგორც მას უწოდებენ გვიანდელ მოდერნს, აკრიტიკებს მოდერნულ თეორიებს, მას როგორც მთლიანს და მეგა ნარატივს, რომელიც უგულვებელყოფს, ფრაგმენტაციას, ქაოსს, შემთხვევითობას, რისკს, ეფემერულობას, სპონტანურ და შემთხვევით ქცევებს, ემოციურ და თვითრეფლექსურ ხასიათს, გლობალიზაციას და ა.შ.

მესამე ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა იყო ფემინისტური თეორია და კრიტიკა, რომელმაც დაიწყო დისკრიმინაციისა და ქალთა ექსპლუატაციის კვლევა ყოველდღიური ცხოვრების კონტექსტში, განსაკუთრებით ოჯახში და სამსახურში.

საუკუნის დასასრულს მიმდინარე ინტელექტუალურმა პროცესებმა და საზოგადოებრივმა ცვლილებებმა ახალ ფენომენზე და მის განვითარებაზე მოახდინა გავლენა. ადამიანმა აქტიურად დაიწყო მათი ცხოვრებისა და გარემოში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების გაცნობიერება. სოციოლოგიაზე არ შეიძლებოდა არ მოეხდინა გავლენა ამ ცვლილებებს, ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, გლობალიზაციამ, მეგაურბანიზაციამ, მომსახურების სფეროს გაზრდამ, შრომითი საქმიანობის ცვლილებამ, ვიზუალურობაზე ორიენტაციამ, სასაუბრო ენის ცვლილებამ და ა.შ. ეს ტერმინები და ტენდენციები ახალი სამყაროს ინდიკატორებია, რომლებიც მანამდე გაჩნდა სანამ სოციოლოგია კონცეპტუალურ სექციებს შექმნიდა ანუ შემთხვევითობას არ წარმოადგენს ის, რომ ჩვენ საუბრისას ვიყენებთ შოპინგზე სიარულს და არა საყიდლებზე სიარულს, ბოდი-ბილდინგს ფიზკულტურის ნაცვლად, ჩატი საუბრის ნაცვლად, ემეილინგი წერილობითი მიმოწერის ნაცვლად, ბლოგინგი-მემუარების წერის ნაცვლად და ა.შ. მიმდინარე ცვლილებებმა განაპირობა სოციოლოგიაში ახალი მიმართულების შექმნა.

მესამე სოციოლოგიის ონტოლოგიური წანამდღვარი. ყოველდღიური ცხოვრების წესის შესწავლა თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ჯერ კიდევ განვითარების ახალ ეტაპზეა. იმისათვის რომ მესამე სოციოლოგია გახდეს გავლენიანი თეორიული მიმართულება მას სჭირდება კონცეპტუალიზაცია. მოდით მოკლედ აღვწეროთ რამოდენიმე კონცეფცია:

მესამე სოციოლოგიის ცენტრალური კონცეფციაა, სოციალური ეგზისტენცია, რომელსაც აქვს მდიდარი ონტოლოგიური შესაძლებლობები.

2006 წელს როდესაც შტომპკა იყო საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი მან საერთაშორისო სოციოლოგიურ კონგრესს შესთავაზა სოციალური ეგზისტენციის იდეა რასაც დიდი გამოხმაურება და დებატები მოჰყვა.

სოციალური არსებობის კონცეფცია ეყრდნობა არისტოტელეს მოსაზრებას, ადამიანები არიან სოციალური ცხოველები, მათი არსებობს დაბადებიდან სიკვდილამდე კოლექტიურია, არც ინდივიდი და არც საზოგადოება არ არიან ავტონომიური ან ცალკეული ერთეული, ორივე წმინდა ანალიტიკური ასპექტია მთლიანი ინდივიდუალურ-სოციალური რეალობის.

ადამიანისა და სოციალურის დუალიზმი ჯერ კიდევ 20 საუკუნეში სოციოლოგიის კლასიკოსის ჰერბერტ ელიასის მიერ იყო დამუშავებული, ელიასის შრომაში პირველი ნაწილი ეთმობა ინდივიდს და საზოგადოებას, არ არსებობს განცალკევებული, დამოუკიდებელი ავტონომიური ინდივიდი, თითოეული ჩვენთაგანი არის კოლექტივის წევრი და ჩვენი ინდივიდუალური ინდეტობა, ყალიბდება ჩვენს მიერ ჯგუფში დაკავშირებული ადგილის გავლენით, ჩემი იდენტობა განსაზღვრავს თუ ვინ ვარ მე, ვისთან ვმეგობრობ, ველაპარაკები, ვხვდები, ვისზე ვქორწინდები, ვის ვუკითხვა ლექციას, და მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი იდენტურობა წარმოშვა უნიკალურმა პლასტერმა, წარსულში და აწმყოში არსებულში არსებულმა ინტერეაქციამ/კონტაქტებმა და მომავლის პოტენციური კონტაქტები რომელმაც შექმნა ინდივიდის პროფესიულმა მდგომარეობამ, კლასობრივმა კუთვნილებამ, გენდერმა, სტატუსმა და ა.შ. სოციალური კავშირების ქსელი რომელსაც ინდივიდი ქმნის ძალიან მნიშვნელოვანია.

მეორე ნაწილში განხილული აქვს „ინდივიდთა საზოგადოება“ ეს ყველაზე ადვილად გასგებია რადგან არ არსებობს საზოგადოება მასში მონაწილე ინდივიდების გარეშე მაგრამ ასევე არ არსებობს საზოგადოებაც, რადგან ის რასაც ჩვენ ვუწოდებთ საზოგადოებას აბსტრაქტულია, ის არა უბრალოდ აქტორთა კომბინაცია და მოქმედებების ერთობლიობა.

სოციალური ეგზისტენციის კონცეფცია ატარებს გზავნილს, რომ სამყარო სხვა არაფერია თუ არა ადამიანთა შორისი ველი, ადამიანთა შორისი სივრცე, რომელიც სავსეა შეხვედრებით, კონტაქტებით, ურთიერთობებით, კავშირებით, დამოკიდებულებებით, სოციალური ქსელებით, ანუ კავშირი სხვასთან გულისხმობს სიყვარულს, კორპორაციას, კონკურენციას, ომს, მშვიდობას, სძულვილს, მეგობრობას, მტრობას და ა.შ.

ყოველდღიური ცხოვრების ანატომია და საზრისი. ყოველდღიური ცხოვრების კონცეფცია არა თავისთვად ნათელი ის შეიძლება შეიცავდეს მცდარ კონოტაციებს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა საჭიროა განვმარტოთ თუ რა არ არის ყოველდღიური ცხოვრება, ხოლო ამის შემდეგ განვმარტოთ მისი დადებითი მხარეები.

1. ყოველდღიური ცხოვრება არა შემოფარგლული მხოლოდ იმით რასაც დურკჰეიმი უწოდებდა პროფანულს, საკრალურისაგან განსხვავებულს. ის არ მოიცავს დიურკჰეიმისეულ საკრალულს. საუზნობა სამუშაო ადგილას, წირვა ეკესიაში, სუპერმარკეტში სიარული საყიდლებზე, პარტიულ მანიფესტებში მონაწილეობა, ტელევიზორის ყურება საღამოობით,

ბერლინის ფილარმონიაში ორკესტრის კონცერტზე დასწრება-ზევით ჩამოთვლილი პრაქტიკები წარმოადგენენ ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდებს.

2. ყოველდღიური ცხოვრება არა შემოფარგლული მხოლოდ ინდივიდის კლასობრივი მდგომარეობით, მაგალითად ცნობილი ადამიანების ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველია, ასეთი ცხოვრება არღვევს ყოველგვარ კლასობრიობის ზღვარს.

3. ყოველდღიური ცხოვრება არა პირადი ცხოვრების სინონიმი პოლიტიკოსებისათვის, მსახიობებისათვის, მომღერლებისათვის, სპორტსმენებისათვის და ა.შ.

როგორია ყოველდღიური ცხოვრების პოზიტიური დეფინიცია?

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ ყოველდღიური ცხოვრება ეს არა მხოლოდ დაკვირვებადი ეგზისტენციაა, ის ყოველთვის გულისხმობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობას რაც ყოველთვის მიმდინარეობს სოციალური კონტექსტის გავლენით, მაშინაც კი როდესაც ადამიანი მარტოა სხვები ვირტუალურად არსებობენ მის მეხსიერებაში, ოცნებებში, მოსაზრებებში- ისინი ვინც უყვარს ან არ უყვარს მეგობრები თუ მტრები, კონკურენტები თუ თანამშრომლები, და ა.შ.

2. ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები მეორდება ისინი არ არიან უნიკალურები, ზოგჯერ ისინი ციკლურობით, რიტმულობით და რუტინულობით ხასიათდებიან, ზოგჯერ მოვლენები მეორედება ყოველდღიურად, ყოველ თვე ან წელიწადის გარკვეულ დროს, მაგალითად, ყოველ პარასკევს ოჯახთან ერთად სადილობა რესტორანში, ან ქალაქგარეთ გასვლა ვიკენდზე, კვირას ეკლესიაში სიარული, შვებულება ზამთარში/ზაფხულში, აღდგომა, შობა, ახალი-წელი და ა.შ.

3. ხშირად ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება ქცევის რიტუალიზებული და სტილიზებული ფორმები, რომლებსაც ხშირად ჩვევებს ვუწოდებთ მაგალითად, ვარჯიში დილაობით, გაზეთის კითხვა საუზმობისას და ა.შ. რიტუალიზაცია კარგად ჩანს რელიგიურ დღესასწაულებზე, სასამართლო პროცესებზე, დიპლომატიურ მიღებებზე და ა.შ.

4. ყოველდღიური ცხოვრება ლოკალიზებულია სივრცეში ის მიმდინარეობს ის მიმდინარეობს განსაზღვრულ ადგილას, სახლში, ქუჩაში, ეკლესიაში, სტადიონზე, სამსახურში და სხვა ადგილებში. ადგილის თვისობრიობა ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს სოციალური მოვლენის სტილს და ფორმას.

5. მოვლენებს აქვთ ხანგრძლივობა, ქუჩაში მეგობრებთან შეხვედრა, სადილი რესტორანში, სამეცნიერო სემინარი ან შვებულება ყველას ეს აქტივობა მიმდინარეობს გარკვეული დროის განმავლობაში, როგორც მერთონი წერს მოვლენებს შეიძლება ჰქონდეთ „მოსალოდნელი სტრუქტურული ხანგრძლივობა“ საფეხბურთო მატჩის, სიმფონიური ორკესტრის კონცერტის,

პარლამენტის სესიის და ა.შ. რეალური და მოსალოდნელი ხანგრძლივობა გავლენას ახდენს სოციალური მოვლენის ხასიათზე.

6. ყოველდღიური ცხოვრება ხშირად მიმდინარეობს რეფლექსიების გარეშე, აქტორები ხშირად ვერ აცნობიერებენ მათ სოციალურ პრაქტიკებს. მაგალითად, ტელეფონზე საუბრისას, როდესაც გვეკითხებიან „რას აკეთებ?“ ხშირად იწვევს უხერხულ და უსარგებლო პასუხს „არაფერს“, რაც რატომ უნდა არა მართალი, რადგან ადამიანი სანამ ცოცხალია ყოველთვის რაღაცას აკეთებს.

სოციალური ეგზისტენციის სოციოლოგიას ჯერ კიდევ არ აურჩევია სტანდარტული კონცეპტუალური ჩარჩოები, განვიხილო რამოდენიმე მოსაზრება ყოველდღიური ცხოვრების უფრო ანალიტიკურად და სისტემურად გასაგებად.

პირველი, ყველა სოციალურ მოვლენაში ადამიანთა გარკვეული რაოდენობა მონაწილეობენ და ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე, მონაწილეებს უწევთ განასახიერონ რამოდენიმე სოციალური როლი. ინდივიდებს შორის კომუნიკაცია შეიძლება იყოს პირისპირი გარკვეული დროისა და სივრცის ფარგლებში, მაგალითად, საუბარი სადილის დროს, ასევე შეიძლება ჰქონდეთ კომუნიკაცია, ტელეფონის ან ინტერნეტის მეშვეობით. თავის დროზე გეორგ ზიმელმა გაამახვილა ყურადღება, რომ ძალიან მნიშვნელოვანი კომუნიკაციაში მონაწილეთა რაოდენობა, რადგან ამით განისაზღვრება ინტერაქციის ხასიათი და მასშტაბი, მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა ცვლის ქსელის თვისობრიობას.

მეორე, ყველა სოციალური მოვლენა მიმდინარეობს გარკვეულ სიტუაციაში, მნიშვნელოვანია მაყურებელთა არსებობა ან არ არსებობა ან მოვლენის მოწმეები რომლებიც მასში აქტიურად არ მონაწილეობენ. ხშირ შემთხვევაში ისინიც კი ვინც არ მონაწილეობს სიტუაციაში და უბრალოდ აკვირდება მას ახდენს სიტუაციაზე და მასში მონაწილე ინდივიდზე გავლენას.

მესამე, ყველა სოციალური მოვლენა მიმდინარეობს სოციალურ კონტექსტში ოჯახში, სამსახურში, დასვენებაზე, განათლება, პოლიტიკა და ა.შ. სადაც ადამიანები მუდამ მონაწილეობენ, ან ზოგჯერ გარკვეული დროით ტოვებენ და ერთვებიან სხვა კონტექსტში. ყოველ კონტექსტში ადამიანი იქცევა სხვადასხვაგვარად, საკუთარ თავს ადვილად სხვადასხვა გვარად, ვლაპარაკობთ, ვიცვამთ, და ა.შ. განსხვავებულად. კონტექსტის შეცვლა ხშირ შემთხვევაში უკავშირდება რაღაც რიტუალს, მაგალითად, კომპიუტერის ჩართვა სამსახურში მისვლის თანავე, სპორტული კოსტუმის ჩაცმა ფიტნეს კლუბში, კლასიკური ტანსაცმლით კონცერტზე წასვლა და ა.შ. კონტექსტში შესვლა იწყება მასში უკვე მონაწილე აგენტებთან მისალმებით ხოლო გამოსვლა დამშვიდობებით.

მეოთხე, სოციალური მოვლენა მიმდინარეობს განსაზღვრულ ადგილას, სახლში, ქუჩაში, ეკლესიაში, ოფისში, სასწავლებელში, სკოლაში, ბიბლიოთეკაში, თეატრში და სხვა. ამ ადგილებში მიმდირე მოვლენები ერთმანეთის მსგავსია, რადგან ამ ადგილებში ადამიანები

ერთ და იგივე მოქმედებებს ახორციელებენ, ბიბლიოთეკაში კითხულობენ, საავადმყოფოში მკურნალობენ, ქუჩაში ათვალეირებენ მაღაზიებს ან სეირნობენ, სტადიონზე თამაშობენ, ეკლესიაში ლოცულობენ და ა.შ.

მეხუთე, სოციალური მოვლენა ხასაითდება რთული კონფიგურაციით, სხვადასხვა კონტექსტში და ლოკალიზაციაში კი გვხვდება ტიპიური სოციალური მოვლენები, რთულ კონფიგურაციასთან გვაქვს საქმე იქ სადაც ინდივიდებს იყენებენ სხვადასხვა როლებს. მაგალითად, ქორწილი, დაკრძალვა, საღამოები, ქირურგიული ოპერაციები, საფეხბურთო მატჩი, რელიგიური რიტუალები და სხვა პრაქტიკები რომლებიც პროცედურათა ერთობლიობის დაცვის შემდეგ იღებს საზრისს, ასეთი პროცედურები კი გრძელდება გარკვეული დროის მანძილზე და ხშირად რამოდენიმე ეტაპსაც მოიცავს, უნივერსიტეტის დამთავრება, ჩემპიონატისათვის მომზადება, პროფესორის კარიერის გაკეთება, წიგნის დაწერა, ფულის შეგროვება სახლის საყიდლად და ა.შ. ზოგჯერ სოციალურ სიტუაციას და სოციალურ შემთხვევა ზუსტი სცენარით მიმდინარეობს. სოციალურ სიტუაციას აქვს სიმბოლური დატვირთვა ინფორმაციის გადაცემა აუდიტორიისათვის. გოფმანმა მოახდინა სოციალური ეგზისტენციის კვაზი-თეატრალური და დრამატურგიული ასპექტების ანალიზი, სპეციფიკური მოვლენები მიმდინარეობს სცენაზე, მსახიობები გადასცემენ ინფორმაციას აუდიტორიას, ისინი ქმნიან მესიჯებს და იყენებენ ატრიბუტებს, ხოლო აუდიტორია ცდილობს დაუჯეროს მსახიობებს. როგორც ერთმა კულტუროლოგმა თქვა პრიმიტიულ რელიგიებთან დაკავშირებით, „მასზე არ ფიქრობენ, მას ცეკვავენ და მღერაინ“ ასევე კულტურაც ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ახალი პერსპექტივის პერსპექტივა. ყოველდღიური ცხოვრების სოციოლოგია არ არის ახალი დისციპლინა ან ახალი მიმდინარეობა სოციოლოგიაში, ეს უფრო ხედვის ახალი კუთხეა, რომელიც ამღევს სოციოლოგიას საზოგადოებრივი პრობლემების ახალი კუთხიდან დანახვის საშუალებას. აბსურდი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ყველა სოციოლოგმა უნდა დაიწყოს ყოველდღიური ცხოვრების შესწავლა, ახალი პარადიგმები არ ახდენენ ძველის გადაფასებას ისინი უფრო ამდიდრებენ არსებულ ცოდნას.

ყოველდღიური ცხოვრების სოციოლოგია გვთავაზობს სოციალური მოვლენების შეასწავლას რეალობაში, ყოველდღიური ცხოვრების კონტექსტში რადგან ასე შეიძლება სისტემის, სოციალური სტრუქტურის, კლასის, ძალაუფლების, სოციალური მოქმედების, გლობალიზაციის, მოდერნიზაციის, იდენტობის პრობლემების და სხვათა უკეთ წვდომა და ანალიზი. ყველაზე მიმზიდველი ასეთი პრობლემების შესწავლისას არის ის რომ სოციალური პრობლემები ყოველდღიური ცხოვრების დონეზე დაკვირვებადია და ამიტომ შესაძლებელია მისი ფოტოგრაფირება. ყოველდღიური ცხოვრების სოციოლოგია იძლევა პერსპექტიულ მიდგომას რათა შესწავლილი იქნეს სოციალური ეგზისტენციის უცნობი მხარეები. ავტორი გვთავაზობს 4 პრობლემას: 1. სოციალური კავშირები და სხვადასხვა

ტიპის ჯგუფების ფუნქციონირება საზოგადოებაში. 2. ადამიანთა მუდმივი და კრეატიული მცდელობები გადალახოს დაბრკოლებები, გადაანაცვლოს საზღვრები და შეიტანოს წვლილი სოციალურ გახდომა. 3. სპონტანურობა, ემოციურობა, არამდგრადი და გაუთვალისწინებელი ქცევები, აგენტთა იმანენტურ თავისუფლებასა და შინაგანი თავშეკავების მიუხედავად. 4. ადამიანთა მუდმივი მისწრაფება მათ და სხვათა ქცევისათვის საზრისის მინიჭება, სოციალური ცხოვრებისა და სოციალური ორგანიზაციის საზრისის მიება.

სოციალური ეგზისტენციის სოციოლოგია ყოველდღიურ ცხოვრებას იყენებს როგორც კვლევით ლაბორატორიას, რამაც შეიძლება მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრასთან მიგვაახლოვოს.